დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 78 ხუთშაბათი, 8 აპრილი 1910 წ. № 78

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს, ინახავს ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი [illegible] N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

პარასკევს, ამა აპრილის 9-სა,

წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

—გაიმართება—

ლიტერატურული გასამართლება

„ღალატის“ გმირებისა ზეინაბის და ოთარ ბეგისა
(ზეინაბი ქ. ს. რომანიშვილისა, ოთარ-ბეგ—ვ. გუნია).

ბრალმდებლები არიან: ბ-ნნი იოს. მაჭავარიანი და ვახ. ლამბაშიძე.
დამცველები: ბ-ნნი კ. აბაშიძე და გრ. რობაქიძე.
მოსამართლენი: ბ-ნნი იოს. ბარათაშვილი, გრ. დიასამიძე და ივ. ზურაბიშვილი.
ნაფიცი მსაჯულები: ბ-ნნი ივ. გომართელი, იო. ზურაბიშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. ლასხიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. მგალობლიშვილი, ალ. ყანჩელი, ალ. ყიფშიძე, გრ. ყიფშიძე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
(4—3)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 8 აპრილს, 1910 წელს.

ქართულ თეატრის კაპელდინერების სასარგებლოდ

ნ. გაბუნია-ცაგარლის, ვ. აბაშიძის და სხვების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ალლუმი

მხიარული კომედია 4 მოქმედ. ვ. გუნიასმიერ გადმოკეთებული.

მონაწილეობენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, მ. ვიქტორელი, ნ. გამყრელიძისა, ვ. ნებიერიძისა, ბ. სათიანი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ვ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ა. იმედაშვილი, გ. იმნაელი, დ. მგალობლიშვილი, შ. საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.
(2—2) რეჟისორი **ვალ. გუნია.**

საგურთალოზე

სასტუმრო „დარიალის“ პირდაპირ, ახალ ეკკლესიის მახლობლად **დაიჭრა ოცი დესეტინა მამული** ვასილ ილარ. გაბაშვილისა და **ნაჭრებად იყიდება.** იქვე იძლევა ქირით სასტუმრო „რაზსვეტი“ სარდაფით და მშვენიერი ბაღით მოსალაპარაკებლად შეგიძლიანთ მიმართოთ: ოლგას ქუჩა, სახლი № 6, გაბაშვილსა.
(3—228—1)

დაიბეჭდა და აპრილის 10-ს დარიგდება „ფასკუნჯის“ პირველი ნომერი შემდეგის შინაარსით:

1. «სიმღერა», განდეგილისა. 2. „ზღაპარი“, გ. მაყაშ—სა. 3. «ლანდები», პოემა ა. შანშიაშვილისა. 4. „საბედისწერო ქამბარა“, დრამა ტრ. რამიშვილისა. 5. «გურუიანი“, ინდ. პოემა, თარგ. ა. სარაჯიშვილისა. 6. „გ. სუნდუკიანცს“, აკაკისა. 7. „ნაწყვეტები“, ეკ. გაბაშვილისა. 8. „დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მგოსნები“, ნ. მარრისა, თარ. გრ. ყიფშიძის. 9. „თარის ხმა“ (ლექციიდან), გრ. რობაქიძისა. 10. «გ. წერეთელი», კ. აბაშიძისა. 11. «რა არის ტრაგედია», კალამისა. 12. «მომავალის ცეკვა», აის. დუნკანისა, თარ. ა. ფაღავასი. 13. განცხადება, აკაკისა. 14. სურათის ახსნა.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1. თინათინის დაგვირგვინება, ათ ფერად დაბეჭდილი სურათი მე-17 ს. ხელნაწერი ვეფხ ტყაოსნიდან. 2. მწუხარება, ქანდაკება ი. ნიკოლაძისა, ფოტოტიპიური სურათი. 3. ეკ გაბაშვილის პორტრეტი, ფოტოტიპიური სურათი. 4. მეორმოცე წლების მოღვაწენი. 5. რაფაელის პორტრეტი. 6. ღვთისმშობელი, რაფაელის სურათი. 7. ბავშვი, მისივე სურათი. 8—10. ინგლისელი არტისტი ირვინგი ჰამლეტის, შეილოკის და რიშელიეს როლებში. 11 მუსიკა და ცეკვა.

ფასი პირველი N-სა 75 კაპ.

ჟურნალი წლით ღირს 5 მან. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია, ან სტამბა სორაპანი.
პირველი N-ი იყიდება ყველგან. რედ. გამომც. **ს. ფირცხალავა.** (3—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და [illegible]შვ. ყ.-დ[illegible] დღე; გარდა კვირა. 11-12 სა[illegible]
გედევანიშვილი მ. ა. ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 [illegible]
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიჭოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,
[illegible] ხას. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ო[illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე
პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო[illegible] დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—151)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით
(წლ.—6.—314)

ექიმი კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა,
(0—586—407)

ექიმი კბილისა ქუთაისში **ა. ა. ბუტულოვისა**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ.
25—33.—17

თავ: რევაზ მიხეილის ძე ყარალაშვილი შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 9 აპრილს დილის 10 საათზე კუკიას წმ. ნინოს ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის—პირველის საყვარელ მეუღლისა და მეორეთა—დედის

კნ. სოფიო დიმიტრის ასულის ყარალაშვილისას.

(1—231—1)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^{1}/_{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—33.—43)

ექიმი ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—33.—14)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79.
(0—6.—42

ექიმი ზ. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—67)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—101

ექიმი ქუთაისში **ფ. ი. გასნევსკი**
იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—33.—25)

ექიმი ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი დ. ახვლედიანი
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი.
(0—უ.—156)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ბებია ქალი სოფიო ილიას ასული გელხორდტ-ლოკიში
რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლეკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—4)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.
რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ბოგუსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ საათ.
კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.
ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—6.—31)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეებს (ნოქრებს) **მეორე საზოგადო კრებაზე** 11 აპრილს 1910 წელს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში (ერევნის მოედანი). კრებამ უნდა აირჩიოს ექვსი წევრი შერეულ კომისიაში, რომელიც შეიმუშავებს სავალდებულო დადგენილებებს მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ.

კრებაზე დასწრების უფლება აქვთ სრულ-წლოვან მოსამსახურეებს (ნოქრებს), თითოს თითო დაწესებულებიდან, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას, როგორც წარმომადგენელი ამა თუ იმ დაწესებულების სრულწლოვან მოსამსახურეებისაგან (ნოქრებისაგან). კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეებს, რომელთაც 1909 წელს გადაუხდიათ სამრეწველო გადასახადი. კრებაზე შესვლისას მონაწილეებმა უნდა წარადგინონ რწმუნების ქაღალდები, რომელზედაც ხელი უნდა ეწეროთ ამომრჩევლებს.

ეს კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს.
(3—6.—3)

ქვის ქარხანა

გვაქვს დამზადებული ძეგლები, მშვენიერი ფორმისანი, ალგეთის ქვისა და განჯის ფერად და თეთრ მარმარილოსი, დიდრონები და პატარებიც, ყველა ფასიანი. აგრეთვე ვიღებთ შეკვეთით იტალიის თეთრ მარმარილოს ძეგლებს.

შეკვეთილი ძეგლები მზადდება სუფთად, ჩვენ თითონვე ვმართავთ საფლავზე, ძეგლები მაისის გასვლამდე მეტად დაკლებულ ფასებში გაიყიდება.

ადრესი: კუკიის სასაფლაოს პირდაპირ, **ქვის ქარხანა გრიგოლ და ლევანტი მიროტაძეებისა.** (8—208—7)

დღიური

ზეინაბი.

ხვალ ქართულ თეატრში კიდევ ლიტერატურული გასამართლებაა. ჩვენი საზოგადოება ხალისით ეტანება ამ ახლად შემოღებულს გასართობს და აქ, რასაკვირველია, ცუდი არა არის რა. ფრიად სასიამოვნოა ყველაფერი, რაც ცოტათი მაინც აამოძრავებს ჩვენს გაზარმაცებულს გონებას და მიგვაჩვევს მსჯელობას. ზეინაბის გასამართლება ბევრის მხრითაა საინტერესო: გარდა იმისა, რომ მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ზეინაბის პიროვნება მით არის საყურადღებო, რომ უჩვეული მსხვერპლის გამომსახველია, და როგორც ასეთი ჯერ-ჯერობით უმაგალითოა ჩვენს მწერლობაში.

განა შეიძლება მაღალს საქმეს ყველაფერი შესწიროს ადამიანმა? ასეთს საკითხს გვიყენებს ზეინაბი და ამის პასუხი ასე ადვილი არ არის, როგორც გვეჩვენება პირველ შეხედვაზე. ამ კითხვამ შეიძლება გადაგვჩეხოს უფსკრულში და შეიძლება აგვამაღლოს ცამდის.

ღვთის რისხვად მოევლინა სოლეიმან ხანი ჩვენს ქვეყანას და როგორც შავმა ჭირმა ამოსწყვიტა საქართველოს ვაჟკაცნი და მათნი ცოლშვილნი. ირანის ყმებად აქცია თავადნი კახეთისა და ქართლისა, ხოლო აზნაურნი და გლეხკაცობა სანადირო ძაღლების საჭმელად. დააბნელა მზე საქართველოსი და საკუთარის მარჯვენით ამოჰგლიჯა მეფეს მკერდიდან გული, რომელიც ჯერ ისევ ჰფეთქავდა.

ამ სოლეიმანს გადასცეს მოღალატე თავადებმა თავიანთი დედოფალი, გაძარცული, გალატაკებული, დიდებაში აღზრდილი და მონად ქცეული, ბრწყინვალე ტახტზე მჯდომი და ახლა შებორკილი, ბედნიერი ერთგულ ქვეშევრდომებით და ახლა მოღალატეებით გარშემორტყმული, ამაყი დედოფალი მტარვალის წინაშე დადუმებული; დედოფალი, რომელსაც წაართვეს სამეფო, მოუკლეს ქმარი, ხელიდან გამოჰგლიჯეს ერთად-ერთი შვილი, მონად, მხევლად მიჰგვარეს სოლეიმანს, რომელმაც მსხვერპლად შეიწირა ყოველივე ეს და მაინც კიდევ ვერ გაძღა.

რა დარჩენია ასეთ მდგომარეობაში მყოფს ადამიანს? ყოფნა, არ ყოფნა? სიკვდილი ადვილია, ადვილია გაქცევა მჩაგვრა ბედის ნებისა გმირისაგან. ზეინაბისთვის ძნელი არ იყო გაეგმირა გული მტარვალის და თვითონაც ადრე განშორებოდა ცხოვრებას, მაგრამ ეს გზა არ აირჩია. ზეინაბმა იხილა: აღარსად დარჩა თავისუფალი ადამიანი, ხელის-გულის ტოლა თავისუფალი ადგილი; ყველგან მხოლოდ სისხლის ღვრა იყო და ძალმომრეობა, ყველგან მდუღარებას აბნევდნენ, ყველგან ცრემლი და მონობა იყო, სიკვდილი, სისაწყლე, ტყვეობა, ტანჯვა, წამება, მონობა, მარტოოდენ მონობა, ვით შავბნელი ღამე!

იხილა ყოველივე ეს და არ შებრალა თავი თავისი და არ გაიპო გუ[illegible] ყო დატყვევებული და წამებული, თავს მოიკლავდა, მაგრამ იმის წინ იყო საერთო მონობა და ტანჯვა, და იგი ვერ გაექცა სიცოცხლეს. როცა ირგვლივ მარტო ცრემლებს ხედავ, მაშინ სიკვდილი ლაჩრობაა, ზეინაბი კი ლაჩარი არ იყო, იმიტომ, რომ მისმა ძლიერმა გულმა შეითვისა მთელი ერის წამება და მისი სული უსაზღვრო იქმნა ერის გაუთავებელის სისხლის ღვრით.

ზეინაბმა უარჰყო საკუთარი პიროვნება საერთო მწუხარებაში. დარჩა ეს მწუხარება, სხვა ყოველივე გაჰქრა, წაიშალა, ამით სცხოვრობდა მხოლოდ. დაუდგა დრო შურისძიებისა, ცოდვისა, თავ-ლაფდასხმისა; ისწავლა ტყუილი, პირმოთნეობა, უძღობა ფიქრისა და დარდისა გამო. სოლეიმანის ნდობის მოსაპოვებლად გახდა იმისთანა, როგორიც ის იყო. ზეინაბიც სოლეიმანსავით ჩაგვრასა და სისხლის ღვრას თხოულობდა, თავისი სახელი, პატიოსნება, სიყვარული, მეფური დიდება—ყველაფერი ტალახში ამოსვარა მტარვალის საამებლად. მიეჩვია ტყუილის თქმას პირის სახით, ხმით, გულისთქმით... გადიოდა დრო და ილუპებოდნენ ნათესავნი, მეგობარნი, ერთგულნი. გაიქვავა გული, ამოიგლიჯა გულიდან გრძნობა ვისიმე შებრალებისა. შებრალება, სიყვარული და სინიდისის ქენჯნა—ყოველივე დაითრგუნა, ჩაკვდა მის გულში. აღარავინ უყვარდა—აღარც ნათესავი, აღარც მეგობარი, აღარც ღვიძლი შვილი, ისიც კი ამოირეცხა გულიდან.

ყოველივე ეს პიროვნული და პირადული მოისპო, რადგან წინ იდგა ტანჯული და წამებული, ტირილი და ლატაკი ერი. იმას შესწირა ზეინაბმა მსხვერპლად სახელი, პატიოსნება დედოფლობის და დედაკაცის, ალალმართლობა თავის გულისა, ხსნა თავის სულისა. რა იყო მისთვის პირადი შურისძიება, დამცირება, შერცხვენა, როცა მთელ ერს ჰხედავდა დამონებულს და მიწასთან გასწორებულს?

ერის სიყვარული და მისი აღდგენა, განთავისუფლება—აი, რისთვის სცხოვრობდა ზეინაბ, რას ანაცვალებდა ყველაფერს. ეალერსება სოლეიმანს და ამავე დროს სამარეს უთხრის; სტანჯავს თავის ნათესავებს და მეგობრებს და ამავე დროს აქეზებს მათ ბრძოლისათვის; ბორკილს დაადებს საყვარელ შვილს და ამასთანავე სამეფო ტახტს უმზადებს მას.

საშინელია ტანჯვა და დამცირება ზეინაბისა, მაგრამ ერის ტანჯვით დატანჯული იგი იმედია ერისა. მისთვის უდგია სული, მისთვის უარყო თავისი პიროვნება, რომ იხილოს მტარვალი დაცემული და საქართველო განთავისუფლებული. ყველაფერი ამისკენ მიმართა. ემზადებოდა იმ დღისთვის, როცა რისხვა ერისა ზღვასავით დაგუბდებოდა, როცა ეს რისხვა მოსკდებოდა მთის ადიდებულ წყალივით, როცა თითოეული მონა იგრძნობდა, რომ იგიც ადამიანია და თავისუფალი უნდა იყოს, იგრძნობდა და აღსდგებოდა მტარვალთა დასამხობად და მისი შვილი გაუძღვებოდა წინ სილაღეს მოწყურებულ მებრძოლთა!

ეს დღე იქნებოდა იმის განკითხვის დღეც, თავის შვილის ფერხთა ქვეშ მიიტანდა მაშინ თავის ცოდვას, შერცხვენას. შვილის სიტყვა რისხვა იქნებოდა დედისთვის, მაგრამ ეგევე რისხვა ხომ დაამხობდა მონობის ბორკილს!..

სრული დავიწყება და უარყოფა თავის პიროვნებისა ერის ტანჯვაში და ერის განთავისუფლებისთვის—აი, ბედი ზეინაბისა, აი, რა შესძლო ამ ძლიერმა ადამიანმა.

მაგრამ ამასვე შესძლებს სხვა? შესძლებს მეორე, მესამე და მრავალი? ზეინაბის გზა მოლიპულია. არა ყოველი, რომელიც იგებებს ცოდვას სხეულისას, დაიცავს სიწმინდეს სულისას, არა-ყოველი, რომელიც ღალატობს გარეგნულად ერს, არა ღალატობს მას საქმითაც. არა ყოველი, რომელიც გადადგამს ერთს მაცდურს ნაბიჯს, არ დაექანება წყვდიადისა და ბოროტებისაკენ!

რაც შესძლო ზეინაბმა, იმას ვერ მიწვდა ოთარბეგი. ზეინაბი ზეინაბია, მაგრამ ზეინაბისაგან ადვილად იბადებიან ოთარბეგები და კიდევ უფრო სულმდაბალი გამცემლები და ქვეყნის მტრები.

ხიტუა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აპრილი.

საზღვარ-გარედ.

პარიჟი. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრს მილიერანს უნდოდა დასწრებოდა ამომრჩეველების კრებას, მაგრამ მანიფესტანტებმა ქვები დაუშინეს იმ სახლს, რომელშიაც კრება იყო. მილიერანი იძულებული გახდა მიეტოვებინა კრება.

მოჯი. ადღუმის დროს ზღვაში დაიღუპა წყალ-ქვეშ მავალი ნავი. ნავის მოსამსახურეები დაიხრჩნენ.

სალონიკი. ოსმან-ფაშის უფროსობით ჩამოვიდა ორი ბატალიონი და ორი სამთო ბატარეა, რვა ზარბაზნით და რვა ტყვის მტორცნელით.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატამ დიდი ხნის კამათის შემდეგ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ჯარში სამსახური სამი წლით არის განსაზღვრული. სენატმა მიიღო მუხტარ-ფაშის წინადადება. მუხტარ-ფაშის წინადადებით ოსმალეთში 1911 წლის პირველ იანვრიდან შემოღებულ იქნება გრიგოლის კალენდარი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა წინადადება შეიტანა წინდაწინვე ხუთი დღით განესაზღვროთ კამათი წარსული წლის ბიუჯეტის შესახებ. ასკვიტმა განაცხადა, ეხლანდელი კანონ-პროექტი წარსული წლის კანონ-პროექტის განმეორებაა. და თუ პალატა მიიღებს კანონ-პროექტს, მას გავლენა ექნება წარსული წლის გადასახადებზედაც. ირლანდიელების ლიდერმა რედმონდმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მან დაიცვა მთავრობა და, სხვათა შორის, სთქვა: ირლანდიელების აზრით ყველა ბიუჯეტი ირლანდიის ხაზინის მეტს არაფერს მოუტანს. მხოლოდ ჰომრულს შეუძლიან უზრუნველ-ჰყოს ირლანდია ამნაირ უსამართლობისაგან. იმედი მაქვს, რომ ირლანდიელ[illegible]

მოძრაობა თანდათან უფრო გაიზრდება. ტყუილია უნიონისტების რწმუნება, ვითომ ჩვენ და მთავრობა შევთანხმებულიყავით, რომ ერთი-ერთმანეთს მხარი დაუჭიროთ. რედმონდს პასუხი გასცა ბალფურმა. მან აღნიშნა, რომ მთავრობა მეფეს ღალატობს და ამით ყიდულობს ირლანდიელების ერთგულობასო. ასკვიტმა უარჰყო ეს ბრალდება, ტყუილია ვითომ მთავრობა ირლანდიელებთან შეთანხმებულიყოს, ერთი-ერთმანეთს დაუჭიროთ მხარიო. პირველ აპრილის განცხადება სამინისტროს მოფიქრებული და დამოუკიდებელი აზრია. მთავრობა მაინც თავის აზრზედ იდგება და დაიცავს, თუნდაც რედმონდმა მხარი არ დაუჭიროსო. პალატამ ხმის უმრავლესობით მიიღო ასკვიტის წინადადება კამათის ხუთი დღით განსაზღვრის შესახებ.

მიტროვიცა. ნოვობაზარის სანჯაკში და იქ მშვიდობიანობაა. არსად არა სჩანს, რომ ალბანელები დემონსტრატიულად ემზადებოდნენ. ეს კია, რომ წინად გადაკიდებული თემები შერიგდნენ, რაიც იმით აიხსნება, რომ ალბანელებს შიში მოელით. ოფიციალურად უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომ ბოსნიის საზღვარზედ ავსტრიას ჯარს მოეყაროს თავი. არაფრით არა მტკიცდება, რომ ალბანელებს ავსტრია აღიზიანებდეს.

კვებეკი. სატამჩუეს ახლო ზვავი ჩამოწვა და ქვეშ მოიყოლა სამუშაო მატარებელი. მოკვდა 25 მუშა.

კოლომბ-ბეშარ (მაროკო) მულუიას ველში შეტაკება მოუვიდათ ყადი მოუუმედის მომხრეებს და სხვა თემებს. მოუუმედის ჯარი სასტიკად დამარცხდა. ორთავე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა, ბევრია მოკლული.

პეკინი. სახელმწიფოებმა ბაქსიართა ამბოხების შემდეგ საელჩოების დამცველი რაზმები გააძლიერეს. ეხლა სახელმწიფოები რაზმებს ამცირებენ. ავსტრიამ უკვე გაიწვია 5 აფიცერი და 130 სალდათი. ავსტრიის საელჩოს იცავს მხოლოდ 33 სალდათი.

პარიზი. 5 აპრილს, დილით, პარიზის ობსერვატორიიდან დაინახეს გალლეის კომეტა.

ბერლინი. გრაფ პალფიის სპიჩკის ქარხანაში ქვაბი აფეთქდა. სახლი დაინგრა. მოკვდა 13 კაცი, დაიჭრა 49 კაცი.

ჰაერში ფრენა

დუე. გაფრინდა ბრეგე. ფრენის დროს ჰაეროპლანის მოტორი შეჩერდა, ამის გამო ჰაეროპლანი ჰაერში გადატრიალდა და ჩამოვარდა. ბრეგე მძიმედ დაშავდა.

ნიცა. ზღვაზე გაფრინდა რუჟიე. რუჟიე ზღვაში ჩავარდა და მსუბუქად დაშავდა.

სპარსეთი

ისპაჰანი. ინგლისის დაჭრილ კონსულის დასახმარებლად წავიდა რუსეთის კონსული ბოგოიავლენსკი. ბოგოიავლენსკის თან ახლავს ყაზახები. დაჭრილ კონსულს სიექიმო დახმარებას აღმოუჩენენ.

რუსეთი

სარატოვი. პეტროვის მაზრის მემამულემ, სალოვმა თავის სახლში მოჰკლა ადგილობრივი მილიონერი იურეჩკოვი. სალოვს იურეჩკოვის ფული ჰმართა და ამის გამო ლაპარაკი მოუვიდათ.

პეტერბურგი. კიშინიოვსა, აკკერმანსა, ბრიანსკსა და ბრიანსკის მაზრაში გაძლიერებული წესები 1910 წლის 4 სექტემბრამდე დარჩება. ტამბოვის გუბერნატორს უფლება მიეცა ამა წლის 4 სექტემბრამდე სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს.

ტაგანროგი. ალექსეევის საზოგადოების მაღაროებში აფეთქება მოხდა. დაშავდა სამი მუშა.

მოსკოვი. პოლიციამ დააპატიმრა ოთხი მოწაფე, რომელნიც სისტემატიურად დანტისტების სადგომებიდან სხვა და სხვა ნივთებს იპარავდნენ. ოთხივე შეძლებული ოჯახის შვილები არიან.

ალექსანდროვსკი. სოფელ ვოზნესენსკში გლეხის ოთახში ყუმბარის დამზადების დროს ყუმბარა აფეთქდა. სახლს ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ მალე ჩააქრეს. დააპატიმრეს სახლის პატრონი. გაიქცა სამი კაცი, რომლებიც ყუმბარებს ამზადებდნენ.

სევასტოპოლი. სამხედრო სასამართლომ გაარჩია მოხელე შილოს საქმე. ბრალდებოდა სხვებთან ერთად ფოსტა-ტელეგრაფის ადგილობრივ განყოფილებაზედ თავდასხმა და 80 ათასი მანეთის გატაცება. სასამართლომ შილოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

შთაბეჭდილება

(ექსკურსია მცხეთაში)

ვიყავით არმაზში, ქართლოსის ციხეში, დავათვალიერეთ მცხეთის სვეტის ცხოველიც და სამთავრის დედათა მონასტერიც. ერთი დღის განმავლობაში ასეთ ადგილების დათვალიერება ძალიან ძნელი საქმეა, ჩემის აზრით. მართლაც, სვეტის ცხოველს მხოლოდ თვალი გადავავლეთ; წვრიმალებს, ზოგიერთს მსხვილმალებსაც, არ გამოვდგომივართ. მაგრამ შთაბეჭდილება მაინც დიდებული იყო და აღმოუფხვრელი დარჩება იქ მყოფთათვის ეს შემთხვევა.

დავიწყოთ არმაზიდან. არ მოგიყვებით წვრილიანით შეფენილს ფერდობზე მოგზაურობას არმაზამდის; არც არმაზიდან ზევით ქართლოსის ციხეში მიმავალ დაბურულს ბილიკზე, ალმასის წყაროს პირად. იმას კი მოგახსენებთ, რომ ბევრმა ჩვენთაგანმა, როდესაც გადავხედეთ არმაზს, იკითხა: ნუ თუ აქ, ამ ვიწრო, მოკრუნჩხულ ხეობაში იყო არმაზის ქალაქი, რომელსაც სტრაბონი მრავალ რიცხოვან და დიდ ციხე-ქალაქად (არმაზიკა) იხსენიებს?! ჩვენთვის, ეხლანდელი მცხოვრებთათვის, ეს რაღაც გამოუცნობელი და წარმოუდგენელი მოვლენაა. მაგრამ ყოფილა! ქვანი და უცხო მწერლები გვეუბნებიან. ჩვენც უნდა დავიჯეროთ. ამ ქალაქს სჭერია მარჯვენა ნაპირი მტკვრისა ამ ხევიდან დაწყებული მცხეთის ქვემოდ შემოსახვევამდე, სადაც მტკვარს არაგვი ერთვის. გაღმაც ყოფილა ქალაქის ნაწილი. იმდენად ფართო და ვრცელი, სავსე და მრავალ რიცხოვანი იყო ეს ქალაქი ქრისტეს დაბადების პირველ საუკუნეს, რომ მარტო ამ ქალაქს გამოჰყავდა ოცდაათი ათასი მეომარი! მაშ მცხოვრები რამდენილა იქნებოდა?

ასე ამბობენ უცხო მწერლები, არა პატრიოტები, არა ნაციონალისტები—ქართველები, არამედ რომის მწერლები,—ხან მტრები და ხან მოკავშირენი ქართველთა სამეფოსი. მოდი და ნუ დაიჯერებ! დაიჯერებ და რა სურათი გეხატება თვალწინ! თურმე ხალხი ვყოფილვართ ჩვენც წინად, ხმა და ძალა გვქონია. ეხლა რაღა ვართ?—დაუძლურებულნი, თავჩაღუნულნი, რომელთაც ჭამის მეტი არა ეკითხებათრა. ოღონდ მაძღარი კი იყოს ეხლანდელი ქართველი და რაში ეკითხება კუჭს გარეშე სხვა საგანი. ეროვნულ თავმოყვარეობას მოკლებულნი, მოკლებულნი ვართ ყოველსავე ინტერესსაც. ჩვენ აღარ გვაინტერესებს აღარც ჩვენი ძველი წარსული, აღარც გაჭირვებული აწმყო და აღარც მომავალი! იმდენად არ გვიყარს ჩვენი მშობელი ქვეყანა, რომ არც კი ვიცნობთ ხალხს, არ ვიცნობთ მის სიძველეებს, მის ნაშთებს მრავალ ათასი წლის მოწამეთ... და რომ ჰკითხოთ ბევრს ჩვენგანს, სხვა ხალხის სიძველეებს ზეპირად ჩამოგითვლით.

ქართლოსიის ციხეც ასეთს საარაკო ნაშთს წარმოადგენს: მაღალი, წოწოლა კლდოვან ვიწრო თავიან მთაზე წამოდგმული. ორი ათას წლისაზე მეტი ხნისა, იგი სდგას ამაყად, შეუპოვრად და კვლავაც იდგება დიდს ხანს, რომ მოგვაგონოს ჩვენ, ქართველებს ჩვენი ვინაობა.

მირიან ბერმა სთქვა, უცხოელი იყო ვიღაც აქ, ამ ციხის დასათვალიერებლად ნახა კირი ამ შენობისა. იმდენად გაუოცდა და გაუკვირდა ამ კირის სიმაგრე, რომ თან წაიღო რამდენიმე ნაჭერი გამოსაკვლევადაო.

კირში რა არის საკვირველი—მეტადრე ჩვენთვის! უცხოელი. ხალხი უცნაური და მატაიცი ხალხია: ყველაფერი უკვირს, ყველაფერი მისთვის საინტერესოა—კირიც კი ორი ათას წლისა. გამოსაკვლევადაც წაუღია; იმ გაშიშვლებულ კედლებზე აბობღებულა და დაუთვალიერებია. უეჭველია, თავის შენიშვნებსაც ჩაიწერდა უბის წიგნაკში.

ჩვენ? ჩვენ არც კი ვიცით, თუ სადმე არის ასეთი ძველის-ძველი მოწამე ჩვენი დიდებულ ცხოვრებისა. არც ვიცით, არც გვინდა ვიცოდეთ და არცა ვნახავთ. ეს კლერიკალობა, რეაქციონერება იქნება! კირი ხომ რა საინტერესოა, ურმებით ჩამოაქვთ სოფლიდან გასასყიდათ. თუ გვინდა წავალთ და იქა ვნახავთ. რა საჭიროა ძველის გამოკვლევა. ფასი არ ვიცით არაფრისა. მეტადრე სიძველისა.

სვეტის ცხოველის გალავანში რომ შევედით, ვისაც არ ენახა და პირველად ჰხედავდა, პირდაღებული და გაოცებული იძახოდა:

— ბიჭოს, ბიჭოს, ეს რა დიდებული შენობაა!

— აფსუს, რომ უყურადღებოდ არის დატოვებული!

— ვაი ჩვენ, ისეთი დაცემულნი ვართ დღეს, რომ ყურის გდებაც-კი აღარ შეგვიძლიან.

ერთმა კიდევ ერთი საშინელება სთქვა:

— მე ნახევარი რუსეთი მაქვს დავლილი, მოსკოვი—კიევი... და ორი არ მინახავს ამაზე უკეთესი ტაძარი და გალავანი?

— სამწუხაროდ და სავალალოდ,— სთქვა მეორემ: — მოუვლელია, უპატრონოდ დაგდებული. იქცევა და გამმაგრებელიც არავინ არის. საქონლის ბინად უქცევიათ. იქ კი ათას თუმნობით ჰხარჯავენ დასაცველად სიძველისა. მგონია, რომ ეს ყმაწვილი მართალი იყო, მაგრამ ეჰ...

სამთავრის მონასტრის შესახებ ცალკე მოგახსენებთ. სიტყვა გავგრძელე—მგონი თავიც მოვაბეზრე მკითხველს. ან კი ვის რაში ეინტერესება ჩვენი ქვეყანა, ჩვენი აწმყო და წარსული!

მაგრამ არ შეიძლიან ერთიც არა ვსთქვა. ამ სამი წლის წინად, „გოლოს კავკაზა"-ში იყო,—ნუ გაგიკვირდებათ სწორედ იმ გაზეთში,—ერთი სტატია ჩვენს შესახებ და გვისაყვედურებდა, რომ ჩვენ ღირსეულად არ ვაფასებთ ჩვენს სიძველეთ, მეტადრე მცხეთისას. მცხეთის სიძველენი ქართველებისთვის მეტად ძვირფასი და თვალსაჩინო ნაშთებია. ყოველი ქართველი უეჭველად მოვალედ უნდა სთვლიდეს თავის თავს, რომ იგინი ინახულოს, გამრთიული უნდა იყოს ისე, რომ არა თუ ქართველები, უცხოელებიც სიამოვნებით მიდიოდნენ. ქართველების სალოცავი უნდა იყოსო. ამ ჟამად კი სანუგეშოს ვერაფერს წარმოადგენსო,

დახლოვებით ასე იყო ნათქვამი. ჭეშმარიტებაა, მხოლოდ ჩვენდა სამარცხვინოდ, უცხოსაგან ნათქვამი. მართლაც, ყოველი ქართველი თავს მოვალედ უნდა სთვლიდეს, რომ მცხეთის სიძველენი უეჭველად ინახულოს, რომ მცირეოდენი წარმოდგენა მაინც იქონიოს წარსულზედ. ერთი ექსკურსია მას ცნობიერებას მოუმატებს, ეროვნულ თავმოყვარეობას გაუღვიძებს, ბოლოს შეიძლება სამოქმედოდაც გამოიწვიოს მისი მიძინებული და დაჩლუნგებული ძალღონე. მე მწამს, რომ ქართველ ადამიანს ჯერ საბოლოოდ უიმედოდ არ არის დაღუპული და მისი მხოლოდ გამოფხიზლებაა საჭირო.

გამოიფხიზლებს და საქმესაც გააკეთებს. **დ. ნ—ლი.**

პროტესტი

(წერილი რედ. მიმართ)

ბ. ნო რედაქტორო! გთხოვთ ქვემოთ მოყვანილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ოდესის უნივერსიტეტში არსებულმა „ილია ჭავჭავაძის სახელობის-ქართული კულტურის მოყვარულთა წრემ" 24 მარტის საზოგადო კრებაზე მსჯელობა იქონია ბ-ნ კუსტინოვიჩის ცნობილ საქციელის შესახებ და დაადგინა შემდეგი: „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრე აღშფოთებული ქუთაისის მთავრობის გიმნაზიის მოხელის კუსტონოვიჩის შავრაზმულ საქციელით, ერთხმად ადგენს 24 მარტის საზოგადო კრებაზე, თავისი უღრმესი გულისწყრომა და ზიზღი გამოუცხადოს იმ კაცს, რომელმაც ქართველ ერის შეურაცხმყოფელი სიტყვები წარმოთქვა".

კრების თავმჯდომარის მაგიერ წრის
მდივანი **ბებკი ფელბა.**

P. S. გთხოვთ, სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს დადგენილება. ბ. ფ.

ღრმად შეურაცხყოფილი ვარ ბ-ნ კუსტინოვიჩის აღმაშფოთებელ საქციელით, რომლითაც გაკადნიერებულმა ვაჟბატონმა შელახა და შეაგინა ქართველი ერის სულიერ სიწმინდის საუნჯე, ქართველებისავე სკოლაში, საქართველოს შუაგულში! ვკიცხავ რა ამ ველურ გულისთქმას გაბოროტებულ ადამიანისას, ვუგზავნი ძმურ სალამს ჩემს უმცროსს მოძმეთ, რომელთაც განიცადეს მწვავე ტკივილი ეროვნულ თავმოყვარეობის შეგინებისა სკოლების კედლებში და აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ დღეს ჩვენი საზოგადოებრივი აზრი საკმაოდ მოწიფულია, რომ თავისი ეროვნული თავმოყვარეობა და ნორჩ თაობის ეს სათუთი გრძნობა უღვთო ვიგინდარას სათელ მიზნად არ აქციოს და რომ ამიერიდან შეუძლებელი არ გახდეს ბ-ნ კუსტინოვიჩების ყოფნა საქართველოს საზღვრებში, ისეთ სკოლაშიაც კი, სადაც ქართველ მოსწავლეთა რიცხვი ერთსაც არ აღემატება.

ტულუზა (საფრანგეთი). **ხშ. კიდიბ.**

გამარჯვება სიკვდილისა

ადამიანის გრძნობანი, სურვილნი, წყურვილნი უფრო ადრე იღვიძებენ, ვიდრე თვით ადამიანი.

ჯერ დილის ცისკარს არც კი ეხარებინა განთიადი ბნელში გახვეულ ქვეყნისთვის,

ჯერ ტოროლას არც კი შეეთამაშნა ჰაერში და თავის საამო სტვენით არ გამოხმაურებოდა სიჩუმეს, ქვეყანასავით მოწყენილ, ღამესავით ჩაბნელებულ სიჩუმეს,

რომ თვალ-უწვდენელ ველის ჯვარედინ გზაზე უკვე მოძრაობა დაწყებულიყო.

კარგა ხანია, რაც გაევლოთ და დაეტოვათ შეუმჩნეველი კვალი მიწაზე, ჰაერშიაც ადამიანის უხილავ, იდუმალ გრძნობათ, რომ ძილის დროსვე თავიანთსავით უჩინრად, იდუმალად ჩანერგოდნენ ადამიანს გულში, ჩაჰქსოვდნენ იმის არსებას.

ჯერ დილის სიოს არც კი წაეშალა უჩინარი კვალი იდუმალ გრძნობათა, რომ იმავე გზით გამოჩნდა ქვეყნად კარგად ცნობილი მოგზაური—სიყვარული.

იგი ოცნებასავით მოჰქროლავდა; გარს ეხვია ნისლი სიხარულისა, გატაცებისა, თავდავიწყებისა.

— საიდან მოჰქრი, საით მიჰფრინავ ცელქო, უმანკო სიყვარულო?

სიყვარული.

მე ვიყავი შიმშილის, ტანჯვის, სიკვდილის მხარეში. ფრთები დამაწყდა, იმდენი ვიფრინე, გული შემიღონდა, იმდენი ვიარე, სათვალავი ამერია, იმდენი გული ვიხილე. შიმშილმა, ტანჯვამ, სიკვდილმა არსად არ დამაყენა, არას დროს არ მომასვენა.

მინდა მოვშორდე იმ წყეულ მხარეს, იმ ბნელ ქვეყანას. ჩემი განთიადი აქეთ, ამ მხარეს იწყება.

მე შორიდანვე ვიგრძენი იმ მხარეში ერთ-გულის გამოღვიძება.

იგი ჯერ ნორჩია ბავშვივით, უმანკოა ჩემსავით. მან ჯერ არც-კი იცის კარგად ჩემი სახელი, ჩემი ძალა, ჩემი თვისება, თუმცა იგი კარგა ხანია თავისთავისვე შეუმჩნევლად ჩუმად, ყრუდ, მაგრამ ძლიერად მარად მიწოდებს თავისკენ ჩუმის ვედრებით, შეუმჩნეველის ღელვით, მოუსვენრობით.

იგი მე აღმითქვამს სამუდამო ბინას, თბილ, კარგ ბინას თავის სიღრმეში.

წავალ, ჩავენერგვი მას, გარს შემოვახვევ ჩემ ნისლს; მეც ავყვავდები, მასაც ავაყვავებ, მეც ვიხარებ, მასაც ვახარებ...

სწრაფად და ძლიერად შემოიქნია მსუბუქი ფრთები, ოცნების მსგავსნი, და გაჰქროლა იმ მხარეს, სადაც მას ჰნატრობდნენ და სად მასაც ენატრებოდა სიხარული, აყვავება...

—

არა სჩანდა ცისკარი, არ ისმოდა ტოროლას სტვენა, ისევ ღამე იყო, ისევ სიჩუმე.

სიყვარულის მიერ განვლილ გზაზე ჩქარა გამოჩნდა მეორე მგზავრი, თვით სიყვარულზე უფრო კარგად ცნობილი ქვეყნად—ტანჯვა.

ვით სეტყვის ღრუბელი—შავი, პირქუში—ისე მიჰქროდა.

სახე დაღმეჭოდა, დაბერებულიყო, მაგრამ არა ჰკვდებოდა, ეტყობოდა, რომ სიბერესთან უფრო მეტი ძალა, მეტი სიცოცხლე ემატებოდა.

— სად მიეშურები? სად მიხვალ ბოროტო მოხუცო?

ტანჯვა.

ეტყობა აქეთ გაუვლია სიყვარულს.

ის ფრთხილად დაიარება, მაგრამ ჩემგან მაინც ვერ დამალავს თავის კვალს.

მარდათ დაჰფრინავს, მაგრამ ჩემზე მარჯვე მაინც ვერ არის.

ვერსად დამემალება, ვერსად გამექცევა!

ვიცი, მან იპოვა იქ ნორჩი თავისუფალი გული; უნდა იქ შეაფაროს თავი, დაიმალოს ჩემგან, მაგრამ ვერა, ვერ დაიმალება.

ეხლავე წავალ, მეც ჩავინერგვი იმ გულში, ჩემი იქ ყოფნით სულს შევუხუთავ სიყვარულს, ჩემი ღრუბლებით სულ გავფანტავ იმის ნისლს და დავამარცხებ კიდეც, დავამარცხებ...

თავის საკუთარივე ქარით გატაცებულმა ხელად გაჰქროლა იქით, საითაც გაიარა სიყვარულმა.

—

არა სჩანდა ცისკარი. არ ისმოდა ტოროლას სტვენა, ისევ ღამე იყო, ისევ სიჩუმე.

ტანჯვა ჯერ არ მოჰშორებოდა შორს მხედველ თვალს, იმისი ღრუბლები ისევ მოსჩანდნენ ცის კიდურზე.

ამ დროს გამოჩნდა მესამე მგზავრი, ყველასთვის ისევე კარგად ნაცნობი, როგორც ტანჯვა და სიყვარული. ეს მგზავრი იყო—ცრემლები.

ცრემლები უცნაურად იცვლიდნენ სახეს: ხან სეტყვას ემსგავსებოდნენ, ხან წვიმას, ხან ციურ ნამს, ნაზ-სურნელოვან ყვავილებიდან მარგალიტებად ასაკრეფს.

— ცრემლებო, ცრემლებო, სად მიხვალთ? ვის ეძებთ?

ცრემლები

აგერ სადღაც მიეშურება ტანჯვა; ჩვენც იმას მივსდევთ. იგი უჩვენოდ ვერ იარსებებს, იგი უჩვენოდ არ არის ტანჯვა.

უნდა დავეწიოთ ჩქარა, მშვიდობით, არა გვცალიან! თავად იქ ერთმა უხეირომ დაგვაგვიანა: ტანჯვა რაერთი ხანია მოჰშორდა იმის გულს და ჩვენ კი ვეღარ მოგვიშორა თვალებიდან. მშვიდობით!

სთქვეს ეს და მათაც გაჰკურცხლეს ტანჯვის გზით.

—

კარგა ხანი გავიდა.

ცისკარი მაინც არ სჩანდა. ტოროლა მაინც არ უსტვენდა. ისევ ღამე იყო, ისევ სიჩუმე.

შორიდან გამოჩნდა კიდევ სხვა მგზავრი.

ვინ იყო? რა იყო? მას შორიდანაც კარგად იცნობდა ყველა, იგი იყო სიკვდილი. სადმე მსოფლიოში არის რამე ქვეყანა, რომ არ იცნობდეს სიკვდილს?—არა!

წარსულის დასაწყისიდან მომავლის ბოლომდის არის თუნდა ერთი წამიც, რომ არ იცნობდეს სიკვდილს?—არა!

სიკვდილს ყველა იცნობს, ყოველთვის და ყველგან.

— ეგრე მტკიცედ, ეგრე წარბ-შეუხრელად სად მიხვალ, შავო სიკვდილო?

სიკვდილი

მივდივარ იქ, სადაც ჯერ არა ვყოფილვარ, მივდივარ იქ, სადაც სიცოცხლეა. მივდივარ იქ, სადაც ტანჯვა და ცრემლებია.

მე არავის გზის სწავლება არ მინდა. მე თვითონ ვიცი ყველა გზა. მე თვითონ ვიცი, საითაც გაივლიენ ტანჯვა და ცრემლები.

მე არც მეჩქარება, ის გული, სადაც ისინი დაისადგურებენ, ვერსად დამემალება.

მე დავსეირნობ ქვეყნად და საქმესაც ბევრს ვაკეთებ. მშვიდობით!

მტკიცედ და აუჩქარებლად გასწია სიკვდილმა თავის გზაზე.

—

რამდენჯერ ამოვიდა მზე, რამდენჯერ ამოვიდა მთვარე, არავინ უწყის.

ერთხელ, როცა არა სჩანდა ცისკარი, არ ისმოდა ტოროლის სტვენა, როდესაც ისევ ღამე იყო, ისევ სიჩუმე, იმ გზიდან, საითაც გაიარეს ჩვენმა მგზავრებმა, გამოჩნდა უკან მომავალი სიკვდილი.

მას თუმცა თეთრი სუდარა ეცვა, მაგრამ შავად მოსჩანდა ვით ღამე ბნელი;

ხელში კი ეჭირა გამარჯვების შავი დროშა, რომელზედაც თეთრად ეხატა გამხმარი თავის ქალა, ხოლო იმის ქვეშ გადაჯვარედინებული ორი წვივი.

დროშა და სიკვდილი ღამის სიბნელეს უერთდებოდნენ. ნათლად კი მოსჩანდა თავის ქალა და ორი წვივი.

ღამის სიბნელეში, სიჩუმეში კი გარკვეულად ისმოდა ყინვასავით შემაჟრჟოლებელი, შიშივით ამრევი სამარისებური ღიღინი.

ის იყო სიმღერა გამარჯვებულ სიკვდილისა.

ლევ. მეტრეველი.

ხშუილი მთის ნაკადისა

(გადმოკეთებული ტეტმაიერიდან)

... ნეტავი რათ, რათ მიზიდავს ასე მძლავრად და დაჟინებით ხშუილი მთის ნაკადისა, რომელიც გადმოჰხეთქს კლდის ნაპრალს, სრბოლის დროს ღრმად დაუღარავს მთის ფერდი, თითქოს იგი მისი ცრემლის კალაპოტი იყოს, თავდაუზოგველად ეხეთქება სიპი ქვების ყორეს და ჟახილით მოუცავს ბუჩქნარით დაბურული ხევ-ხუვი, ყრუ ღელე...

თვალებ დახუჭული, მოლღუნულის სხეულით მთლად ვეძლევი იმის გიჟურ დაუდგრომლობას: ერთი წამითაც მუხლს არ ჩაიკეცავს და არ შეიქანებს. გაუბავს ხშუილი ერთფეროვანი, მუდმივი, დაუსრულებელი...

იმის გავლენის ქვეშ ჩემს გულსა და გონებას მთლად იპყრობს და ეტყვევებს კაეშანი უიმედო და ისეთივე დაუსრულებელი, როგორიც ნაკადის დამაბეჩავებელი ხშუილი.

ბავშობიდანვე, მრავალი წლის გამომავლობაში, შევეჩვიე, შევეგუე ამ ხშუილს და ყოველთვის, როცა კი წარმოიდგება მწარე წარსული, ყურებში უნებლიეთ მესმის ნაცნობი ხშუილი და უმალ იშლება, მთლად მიცავს ძველი ნაღველი, უიმედობა და კვნესა გულისა, ისეთივე ერთფეროვანი, დაუსრულებელი...

განვლო უდარდელმა, საზღაპრო ხანამ ბავშობისამ, ხელსა და თვალს შუა თითქმის გამომეპარა ახალგაზრდობაც. უმალ ერთი-ერთმანეთს გამოუბრუნებლად მისდევენ უფერული წლები ჩემის აწინდელ ყოფისა და უმალ მოისმის ნაკადის ხშუილი და ვგრძნობ კაეშანს ერთფეროვანს, დაუსრულებელს...

გული თითქოს იმას მიჰკვნესოდეს, რაც დავკარგე, რასაც ვეღარ ვიხილავ. თითქოს გული იმაზედ მწუხდებოდეს, რომ დამიკარგავს სანუკვარი რამ, რაც არც კი მინახავს და მისი არსებობა მხოლოდ შემიძლიან ვიგრძნო. თითქოს მე ის მაწუხებდეს და მაბეჩავებდეს, რომ ჩემგან სულ შორსა და შორს მიდის ის, ვინც ჩემთან არც კი ყოფილა, არც კი მინახავს.

იმედით გაცისკროვნებულს და აღფრთოვანებულს რამდენჯერ ხელები მწყურვალედ გამიწვდია ბედის მაცდურ ღიმილისთვის, მაგრამ მოტყუებული და დასჯილი, თვალებ დახუჭული მივეცემივარ ნაკადის ხშუილს ერთფეროვანს, დაუსრულებელს, იმგვარსავე კაეშნით, იმგვარსავე დაუსრულებელის ნაღველით...

ნუ თუ ასე იქმნება ყოველთვის და არასოდეს, სულ არადროს ხშუილის ქვეშ სხვა გვარ გრძნობას ვერ განვიცდი, თუ არა იმავე კაეშანს, იმავე დაუსრულებელ, მოუნელებელ, ერთფეროვან ნაღველს?!

გ. ახალციხელი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **რევიზია.** „კასპ“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: აქ ხმა დადის, რომ ნამესტნიკის თხოვნით კავკასიაში მალე სენატის რევიზია დაინიშნება.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** 5 აპრილს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის გამოუცხადებლობის გამო.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ჯერ კიდევ იანვარში მიმართა თავის განყოფილებებს და სთხოვა, გამოეგზავნათ წესდებისამებრ შემოსავლის პროცენტი საზოგადოების საერთო საჭიროებათათვის და აგრეთვე წარმოედგინათ ანგარიშები მოქმედებისა. ბევრ განყოფილებისაგან გამგეობას დღესაც არ მოსვლია ანგარიშები და ნაწილი შემოსავლისა, რის გამოც საზოგადოების 1909 წლის მოქმედების ანგარიშის შედგენა ძლიერ გვიანდება. შესაძლებელია ეს გარემოება იმის მიზეზადაც გახდეს, რომ საზოგადო კრება წელს ანგარიშისა და სხვა მიმდინარე საკითხების განსახილველად ამ გაზაფხულის ნაცვლად შარშანდელებრ გადატანილ იქნას შემოდგომისათვის.

◆ **ხორცის სიძვირე.** ქალაქში ხორცი ძალიან დაძვირდა. ყასბებმა ზოგან, მაგ. დიდუბეში, სრულიად მოსპეს ხორცის ვაჭრობა, რადგან, მათის აზრით, არსებულ ნიხრით ხორცის გაყიდვა საზარალოა. ნიხრით არსადაც არ იყიდება ხორცი, ყველგან მეტს იღებენ. 15 კაპ. ნაკლებ ვერსად ვერ იშოვნით ხორცს.

◆ **ბაპტისტების თხოვნა.** ამ დღეებში ბაპტისტების წარმომადგენლებმა სთხოვეს ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ ელისაბედის ქუჩაზე დაეთმოთ ქალაქის ადგილი ბაპტისტებისთვის სალოცავ სახლისა და სკოლის შენობის ასაგებად. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს თავის წევრს თავ. ნ. ე. არგუთინსკის, მოელაპარაკოს ბაპტისტების წარმომადგენლებს და დაარწმუნოს ისინი, რომ ელისაბედის ქუჩაზე ადგილი ქალაქს სკოლისათვის სჭირდება. თუ ისურვებენ ბაპტისტების სხვაგან მიეცემათ ადგილი.

◆ **გასამართლება.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: სენატმა გაარჩია ეკიზოვის და ბახტაძის საპელაციო საჩივარი. მათ ჰბრალდებოდათ ქართულად რიაზანოვის ბროშიურის გადათარგმნა: „შრომის განმანთავისუფლებელთა ჯგუფი“, რისთვისაც ტფ. სამოსამართლო პალატამ სამ-სამი თვით ციხე გადაუწყვიტათ. სენატს უყურადღებოდ დაუტოვებია საპელაციო საჩივარი.

◆ **ბაზარი.** გუშინ წინ, 6 აპრილს, შუაბაზარი დაათვალიერეს სასანიტარო ექიმმა შავერდოვმა პოლიციის ბოქაულის და უბნის სასანიტარო ზედამხედველის თანადასწრებით. სასანიტარო კომისიამ განკარგულება მოახდინა, რომ სააღდგომო უქმეებისათვის ბაზარი რიგზე მოეწყოს სხვა და სხვა სანოვაგის სავაჭროდ. დიდი ძალი კვერცხი შემოდის დროგებით ქალაქში და, როგორც ყოველთვის, ჩარჩებმა ახლავე ასწიეს კვერცხის ფასი.

◆ **არხი ავჭალის ქუჩაზე.** როგორც ვიცით, გაზაფხულზე, წყალდიდობის დროს, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ ტფილ. მე-8, მე-9 და 10 ნაწილის მცხოვრებნი. ამ უკანასკნელ ორ ნაწილში საქმეს ისიც აჭირვებს, რომ ავჭალის ქუჩაზე წყლის არხი არ არის. წვიმის დროს ლოტკის გორის მაღლობებიდან მომსკდარი ნიაღვარი ავჭალის ქუჩას აწყდება და მთელ მდინარედ მოდის ხოლმე. მთელი საათობით გავლა შეუძლებელი ხდება. დიდ ზარალს აყენებს აგრეთვე მცხოვრებთ—სახლის პატრონებს და ვაჭრებს. ყოველმავე ამან აღნიშნულ უბნის მცხოვრებნი აიძულა საერთო თხოვნით მიემართნათ ტფ. ქალაქის გამგეობისათვის. ორასამდე სახლის პატრონმა აღძრა შუამდგომლობა საბჭოს წინაშე, რომ ქალაქმა გადასდოს ფული ავჭალის ქუჩაზე არხის გასაყვანად. ასეთისავე საერთო თხოვნით უნდათ მიმართონ ქალაქს მე-10 ნაწილის მცხოვრებთ.

◆ **მკვლელთა აღმოჩენა.** შარშან, 13 აგვისტოს ალექსანდროვის ქუჩაზე ტფილისში ვიღაც ბოროტმზრახველებმა მოჰკლეს გენერლის ტრეტიაკოვის ცოლი. პოლიციის მე 10 ნაწილის ბოქაულს ეხლა ამ მკვლელობისთვის დაუპატიმრებია ზემო იმერეთის მცხოვრები ალექსანდრე ჭუმბაძე, ეკატერინოსლავის გუბ. მც, ილია კუჩერენკო, ივ. გოგანაშვილი, რომელიც მეტეხის ციხეშია და რომელსაც გადაწყვეტილი აქვს კატორგა 6 წლით, მოსამსახურე (დენშჩიკი) ემელიან ტომა და ერთიც უცნობი. ჭუმბაძე და კუჩერენკო გამოტეხილან და უთქვამთ, ეს ბოროტმოქმედება ჩავიდინეთ ემელიან ტომას წინადადებით, რადგან მას უნდოდა გენერლის სახლის გაცარცვაო.

◆ **პლიუშჩევსკი - მუხრანსკის საქმე.** როგორც მკითხველებმა იციან, ერთ დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ დავამ, რომელიც ვექილმა პლიუშჩევსკიმ მარშალს თავ. კ. ი. მუხრანსკის აუტეხა. პლიუშევსკი 150,000 მანეთს ედავებოდა, როგორც ვიცით, თავ. მუხრანსკიმ ყალბად იცნო პლიუშჩევსკის მიერ წარდგენილი ქაღალდი. ამის გამო პლიუშჩევსკი გოლოვინის პროსპექტზე დაუხვდა თავ. მუხრანსკის, დასჭრა იგი თითონაც თავი მოიკლა. ეს დავა, რომელიც პლიუშჩევსკის მემკვიდრეებმა განაგრძეს, მხოლოდ ეხლა დამთავრებულა. პალატამ საქმე მეორედ განიხილა და პლიუშჩევსკის მემკვიდრეებს ფულზე უარი უთხრა, ამასთან მათვე დააკისრა სასამართლოს ხარჯი.

◆ **მასწავლებლის ადგილი.** წ.-კ. საზოგადოების კავკავის ქართულ სკოლაში განთავისუფლდა მასწავლებლის ადგილი. მსურველმა თხოვნა უნდა გაგზავნოს წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობის სახელზე, ქართულ სკოლაში.

◆ **შავი.ქვის მრეწველთა კრება.** კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, მთავრობის წარმომადგენლად შავი-ქვის მრეწველთა სარევიზიო კომისიაში, რომელმაც უნდა შეამოწმოს 1909 წლის ანგარიში, დაინიშნა ქუთაისის საგლეხო საქმეთა გამგეობის წევრი ბიბიკოვი.

◆ **სამხედრო ბეგარა გადამდგარ სასულიერო პირთათვის.** შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით, ის სასულიერო პირნი, რომელნიც სასულიერო წოდებიდან თავიანთ ნებით გავიდნენ, მოვალენი არიან სამხედრო ბეგარა მოიხადონ. რა თქმა უნდა, თუ არ გადასცილებიან სამხედრო ბეგარისათვის დანიშნულ ხნოვანებას. ამათ კენჭი ხელ-მეორედ უნდა ამოიღონ. რაც შეეხება იმ პირთ, რომელნიც გადაცილებულნი არიან სამხედრო ბეგრისათვის დანიშნულ ხნოვანებას, იმათაც კენჭი უნდა ამოიღონ და შემდეგ ჩაირიცხებიან სათადარიგო ჯარში.

◆ **ბოქაული სამართალში.** ზუგდიდის ყოფილი ბოქაული ე. ხ. კვარაცხელია სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენისათვის სამართალში მიუციათ.

◆ **ზაქათალის ოლქი და ერობა.** ტფ. საგუბერნიო საერობო თათბირმა ნამესტნიკის ცირკულიარის განხილვის დროს საძნელოდ დაინახა რაიმე აზრი გამოეტანა იმის შესახებ, შევიდეს თუ არა ზაქათალის ოლქი ტფ. მომავალ საგუბერნიო ერობაში. საგუბერნიო თათბირს ზაქათალის ოლქის წარმომადგენელნი არ დაესწრნენ და მათ დაუკითხავად კი თათბირმა შეუძლებლად სცნო ამ საქმის გადაწყვეტა. ამის გამო ნამესტნიკის თანაშემწეს, სენატორ ვატაცის ტფ. გუბერნატორისთვის დაუვალებია, წავიდეს ზაქათალაში, შეჰკრიბოს მცხოვრებთა წარმომადგენელნი და მათთან ერთად განიხილოს ნამესტნიკის ცირკულიარის ყველა მუხლი. (კ.)

◆ **სენატორ რეინკეს რევიზია.** როგორც ვიცით, ტფ. სამოსამართლო ოლქის დაწესებულებათა რევიზია დავალებული აქვს სენატორ რეინკეს. რეინკეს თანაშემწეებად მიუწვევია მინსკის ოლქის სასამართლოს თავჯდომარე პოსტნიკოვი, პენზის ოლქის სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგი აგიშევი, გამიჯნავ ნაწილის გამგე ხავსკი, კიევის და მოსკოვის ოლქის სასამართლოების პროკურორები და მოსკოვის სამოსამართლო პალატის ორი წევრი. სენატორი რეინკე თანაშემწეებით ტფილისში კვირაცხოვლის კვირას ჩამოვა.

◆ **სახელმძღვანელო.** რედაქციამ მიიღო „არითმეტიკის სახელმძღვანელო ამოცანებით და რიცხვითი მაგალითებით“, შედგენილი ე. ხრამელაშვილის მიერ, გამოცემა „ცოდნა“-სი. ფასი 80 კაპ.

◆ ქალაქის სააფიშო ბოძების კონტრ-აგენტმა მატინიანცმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, აუკრძალოს სავაჭრო ფირმებს და სხვებს ქუჩებში განცხადების ტარება. გამგეობამ განუმარტა მატინიანცს, რომ ქუჩაში განცხადებების მატარებელნი გაჩნდნენ იმიტომ, რომ მან ძლიერ დააგვიანა სააფიშო ბოძების გაკეთება და ამას გარდა მატინიანცს ხელშეკრულებით ქუჩებთან საქმე არა აქვს. გამგეობამ ამასთან დაადგინა, სთხოვოს პოლიცმეისტერს, განკარგულება მოახდინოს, რომ აფიშები ფიცრის გალავნებზე და სახლის კედლებზე არავინ გააკრას.

◆ [illegible]ის მცხოვრებმა კონსტანტინე სოლომონოვმა პოლიციას განუცხადა, რომ 5 აპრილს მისი სახლიდან (სასახლის ქუჩაზე) მისმა ცოლის დამ, 11 წლის მოსწავლე ქალმა, სატენიკა ეგანოვისამ წაიღო საფულე, რომელშიაც 64 მან. იყო და ფასიანი ქაღალდები 3300 მანეთისა. სატენიკა მისულა თავის მამის სახლში, წაუყვანია თავისი და ვარსენიკა და 20 მან. გარდა ფული დაუხარჯავს და სხვა და სხვა ნივთები უყიდნია. ხოლო 20 მან. მიუბარებია მარიამ ელინაშვილისათვის.

◆ პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა პოლიციის მოხელეებს, მოსძებნონ ამ დღეებში უკვალოდ დაკარგული ქალი სერაფიმა იაგოდინსკი, 14 წლისა. დაკარგული ქალი მსახურებდა რატელთან. ქალი 29 მარტს დაიკარგა.

◆ 5 აპრილს დააპატიმრეს რაჭველი გიორგი ომიაძე, ზემო-იმერელი ისიდორე გულიაშვილი, ფერატონ გურგენიძე, რომელთაც აბრალებენ სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებებში მონაწილეობას.

—

შეცდომის გასწორება. „დროების“ გუშინდელ ახალ ამბავში სწერია: „გაქურდეს ჯავახოვის მაღაზია. პოლიციამ ეჭვი მიიტანა არშაკუნზე, რომელსაც ჭურჭლის მაღაზია ჰქონია იქვე“. უნდა იყოს: „ეჭვი მიიტანეს მეჭურჭლის მაღაზიის პატრონის არშაკუნის მოსამსახურე თათოევ მათოსოვზე, მეეზოვე ამბარცუმ გრიგოროვზე და გალუსტ აბრამოვზე, რომელნიც დააპატიმრეს“.

მოწერილი ამბავი

ქსნის ხეობა. წელიწად-ნახევარია, რაც ქსნის ხეობას ეწვია ბ-ნი აბდუშელიშვილი. 1908 წლის შემოდგომის დასაწყისს მან იჯარით აიღო კნ. თამარ კონსტანტინეს ასულის ერისთავის მამული. ეს მამული სივრცით 8000 დესეტინას აღემატება და გაფანტულია მთელ ქსნის ხეობაში. ბ-ნ აბდუშელიშვილის ჩამოსახლების დღიდან ქსნის ხეობამ იგრძნო მისი რკინის ძალა.

დიდი ხნის ამბავი არ არის, რაც ჩვენში ზოგიერთა გმირმა მემამულეებმა დაიწყეს შეიარაღებულის უცხო ტომის ხალხის მოწვევა თავიანთ დასაცველად. ეს მოვლენა მოდათ გადაიქცა და რაც უფრო დიდი რაზმი ჰყავს მებატონეს, მით უფრო დიდებულად იხსენიება. ბ-ნი აბდუშელიშვილი არა თუ ჰბაძავს სხვას, არამედ თვით აფუძნებს მოდას. რა გვეთქმის იმაზე, თუ მემამულეს შეიარაღებული მცველები ჰყავს, როგორც თავის-თავის, ისე სარჩო-საბადებლის დასაცავად, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ზოგიერთ მემამულის მცველთა ფუნქციები სულ სხვა მისწრაფებისაა. ეს მცველნი წარმოადგენენ თავიანთ მებატონის ხელმძღვანელობით დასარბევ და ასაწიოკებელ ორგანიზაციას და, სწორედ ამ ფუნქციების აღმასრულებლად ახლავან ბ-ნ აბდუშელიშვილს შეიარაღებული მხლებლები. ქვემოდ მოგვყავს ორიოდე ნიმუში მათის საქციელისა.

1908 წელს ოქტომბრის პირველ რიცხვებში ბ-ნ აბდუშელიშვილის მცველებმა გაიტაცეს მზარეულიშვილის ახმაჯის ადგილიდან სოფ. ოძისის ხბორები, რაშიაც აბდუშელიშვილმა გადასახდევინა პატრონებს: პატარა ხბორებში —25 კაპ., მოზრდილებში—50 კაპ. უჩიოდა ვითომ იმის მიწაზე იყო საქონელი. 1909 წელს აპრილის პირველ რიცხვებში მისივე ბრძანებით შეიპყრეს სოფ. ოძისის გლეხების ნადელებზე იმავე სოფლის საქონელი. 57 სული, რომელსაც უფულოდ არ ანებებდა პატრონებს. საქონელი მშიერ-მწყურვალი ჰყავდა. ხოლო პატრონები ამუშავა იმ დრომდე, სანამ სოფელმა თავდებად სანდო პირი არ წარუდგინა. შედეგი საქონლის უჭმელობისა იყო ერთი გლეხის, ანდრო ფარწუკაშვილის, ხარის სიკვდილი. 1909 წელს მარიამობისთვეში ბ-ნმა აბდუშელიშვილმა დაატაცებინა ოძისის გლეხის დიმიტრი თოგოშვილის მიწიდან სოფლის საქონელი, 51 სული. დღე და ღამე საქონელი მზეზე უჭმელად ეყარა, რადგან აბდუშელიშვილი უფულოდ არ ანებებდა პატრონებს საქონელს. როდესაც გლეხებმა მესჩივლეს მაზრის უფროსს, ხოლო მან ბოქაულს უბრძანა ადგილობრივ საქმის გამოკვლევა, აბდუშელიშვილმა დაასწრო ბოქაულის ჩამოსვლას და ხელწერილი ჩამოართვა გლეხებს, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ თუ მთავრობა გლეხების გადასახდელს საძოვრებზე დაადგენდა, ისინიც მიართმევდენ მას ღირებულ ფასს.

წელს 13 მარტს სოფ. ოძისის სახზინო მამულის რიყიდან წაასხმევინა ბ-ნმა აბდუშელიშვილმა 43 სული საქონელი. ამავე დროს პატარა მწყემსი მდინარე ქსნაში ჩააგდეს და იგი ვაი-ვაგლახით გამოვიდა ნაპირას, რის შედეგიც ჭირიდან სისხლის და წყლის დენება იყო. ბალღი დღეს მძიმე ავადმყოფია და ლოგინში წევს. დატაცებული საქონელი უსაზრდოოდ და ყინვიან ღამეებში გარეთ ეყარა. გლეხის როსტომაშვილის კამეჩი იმის ეზოშივე მოკვდა. ბ-ნმა აბდუშელიშვილმა სულზე 3 მანეთი ითხოვა და ბოლოს 60 კაპ. დასთანხმდა, მაგრამ რადგან გლეხებს ამის გადახდაც არ შეეძლოთ, ბ-ნმა აბდუშელიშვილმა საქონელი გაჰყარა და რჩეული დაინარჩუნა. დღესაც დაპატიმრებული ჰყავს გლეხის ბოჭორმელის ხარი, ღირებული 60 მან.

მრავალ ამ გვარ ამბის ჩამოთვლა შეგვიძლიან, მაგრამ სანიმუშოდ ასეც საკმაოდ მიგვაჩნია. ასეთ საქციელს ერთი მიზანი აქვს: 1. მცველების ჯამაგირი გაისტუმროს ამ გვარად შეკრეფილ ფულით და 2. გლეხები იძულებული გაჰხადოს იჯარით აიღონ მამული რომელიც მათთვის სრულიათ უსარგებლოა.

მეორე, ახლო მდებარე სოფ. ხვითში არა ნაკლებად არიან გამწარებული მცხოვრებნი: ამ სოფლის 4 კომლმა უკვე 22 წელიწადია შეისყიდა მებატონე დავით ერისთავისაგან 10 დღიური მიწა. 1908 წ. ქრისტეშობის თვეს აბდუშელიშვილმა დაიბარა ხვითელები და გამოუცხადა, რომ წელიწადში მათ უნდა იხადონ იმის სასარგებლოთ მიწის ფული 60 მან. იმ მიწისა, რომელიც მათ შეისყიდეს. გლეხები გაჰკვირდნენ და ხაზინის კვიტანციები უჩვენეს, მაგრამ მან „კუპჩები“ მოითხოვა და რადგან ისინი დაკარგული ჰქონდათ გლეხებს, ფული გადასახდევინა. მაგ. ალექსანდრე ჯიბისაშვილს წაართვა კამბეჩი ღირებული 60 მან. გლეხებმა გამოიწერეს „კუპჩები“ და მიართვეს. იგი არ დაჰყაბულდა: „ეხლა პლანი მოიტანეთო“. რასაკვირველია, გლეხებმა პლანი ვერ გამოიტანეს და დღესაც ტანჯვაში არიან.

1909 წლის იანვრის გასულს აბდუშელიშვილის „მფრინავი“ რაზმი სოფ. ხვითზე მიდიოდა და გლეხ თომა ხუბაშვილის კარებს მიადგა. მასპინძელი დატრიალდა და აფრინა შვილი დვინის საშოვნელად, მაგრამ ვერ ეშოვნა სანოვაგე. ამის გამოც გამწყრალმა მცველებმა დასჭრეს სახლის პატრონი თომა ხუბაშვილი. ხნიერ კაცს ხელი დაუშავდა და მას აქეთ მარცხენა ხელით ვეღარ მუშაობს. ამგვარად ოჯახის ბურჯი ცალ-ხელა გახდა.

ბ-ნი აბდუშელიშვილი მოუგვარულია მჩექათვაგ წყლისა ეზოში, ამიტომ მა. სასტიკად აუკრძალა ხვითელებს წყლით სარგებლობა, რომლითაც ისინი ვენახებს რწყავდნენ. შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ ისეც მრავალი სენით დაზიანებული ვენახები სრულიათ ამოხმა. რუ გამოყვანილია ხვითელების ოფლით, მიმდინარე წყალი კი საზოგადოა, მაგრამ ვინ გადედობება ბ-ნ აბდუშელიშვილს?

ჩვენ მრავალი ფაქტი გვაქვს ხელთ და აქ მხოლოდ ორიოდე ნიმუში მოვიყვანეთ. ხალხის ვედრება მაშია, რომ იკისროს ვინმემ მათი გამოსარჩლება. ზემოხსენებული ფაქტიური მასალა ჩვენ შეგვიძლიან დავამტკიცოთ მოწმეების ჩვენებით, და ახლავე წარუდგენთ, რა დროსაც საქმე ამას მოითხოვს.

დ. კახელი.

სურამი ქალაქად

უმაღლეს მთავრობას სხვა და სხვა მოსაზრებით გადაუწყვეტია, გორის მაზრას გამოჰყოს სურამის ნაწილი და ცალკე მაზრად აქციოს იგი. ეხლა ლაპარაკი იმაზეა, თუ სად უნდა მოთავსდეს სამაზრო დაწესებულებანი და სამაზრო ქალაქის სახელი რომელ დაბას უნდა ეწოდოს. ჩვენ გასაოცრად მიგვაჩნია, რომ ეს საქმე სალაპარაკოდ არის გამხდარი და ქალაქად ღირსეული დაბა ვერ აღმოუჩენიათ მაშინ, როდესაც თვით ბუნებას, ისტორიას და აწმყო-ვითარებას თითქოს განგებ ამ საქმისათაის სურამი დაუმზადებია.

სურამი ერი უძველეს ქალაქთაგანია. იგი ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდის იყო ცნობილი სურიუმის ქალაქად და სახელი ჰქონდა გავარდნილი როგორც სტრატეგიულის უნიშვნელობით, ისე ვაჭრობა-მრეწველობით.

სურიუმს საქართველოს შუა გული ეჭირა და მდებარეობდა მთავარ საქარავნო გზაზე. აქ, სურიუმში, იყრიდა თავს შორეულ აზიიდან მოსული საქონელი, აქ იყო უმთავრესი საწყობი. იმ დროის მმართველთ სურიუმი მაგრა ჰქონდათ გამაგრებული. იქ ძლიერი ციხე-სიმაგრე იყო და ჯარი იდგა, რადგან ახალციხიდან შემოსეული მტერი პირდაპირ სურიუმისკენ მოეშურებოდა, რომ პირველად ის დაეჭირა, როგორც საუკეთესო პოზიცია, მით სავაჭრო ძარღვი მოეწყვიტა და თავისუფალი მიმოსვლა შეეკრა. სურამს, საზოგადოდ, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დღეს სურამი თუმცა ქალაქი აღარ არის, მაგრამ თავისი მნიშვნელობა მაინც არ დაუკარგია. იგი დღესაც ცენტრია ზემო ქართლისა და საზღვარი ორი გუბერნიისა—ტფილისის და ქუთაისისა. სურამში არსებობს: ორი უბნის მომრიგებელი სასამართლო, გამომძიებლის კამერა, ნატარიუსის კანტორა, ფოსტა, ადგილობრივი კომანდა, სამხედრო საავადმყოფო და რკინის გზის საზაფხულო სანატორია. ამ დაწესებულებათა წყალობით სურამში იმ თავიდანვე საკმაო ინტელიგენციაა, რომელმაც გავლენა იქონია სურამის გამშვენება-გაუმჯობესებაზე, სანიტარულ მდგომარეობის განკარგებაზე. სურამი ამ მხრივ გაცილებით მაღლა სდგას ზოგიერთ სამაზრო ქალაქზედაც კი. არსებობენ სურამში კულტურული დაწესებულებებიც: პროგიმნაზია, დრამატიული საზოგადოება, არსდება წიგნის საწყობი და მაღაზიისა, საზოგადო სამკითხველო და სხვა. არის აგრეთვე საზოგადო კლუბი. ამ რიგად სურამი უკვე მომზადებულია ქალაქად გადაკეთდეს.

არა ნაკლებ საყურადღებოა სურამი თავის მდიდარ ბუნებით. იგი საგარაკო ადგილთა შორის პირველთაგანია. ყოველ ზაფხულს სხვა და სხვა კუთხიდან ხუთასამდის ოჯახი იკრიბება, რომელთათვისაც, კარგი ჰაერის გარდა, საჭიროა რიგიანი სისუფთავე და წესრიგი, რაც შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სურამი ქალაქად გადაკეთდება. მაშინ მეაგარაკეთა რიცხვი ერთი ორად იმატებს.

აი, ამგვარ ღირსებებით არის აღჭურვილი სურამი და არა მგონია იმდენად ყურადღების ღირსი არ იყოს, რომ მას პირველი ადგილი არ დაუთმონ სხვა დაბებს შორის.

გ. მოუსვენარიძე.

თეატრი და ხელოვნება

წარმოდგენა კაპელდინერების სასარგებლოდ. დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია წარმოდგენა კაპელდინერების სასარგებლოდ. თ.-აზნ. თეატრის მოსამსახურე ყველა უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული. ამ თეატრში ხალხი მუდამ ცოტა დადის და, მაშასადამე, კაპელდინერებსაც ცოტა შემოსავალი აქვთ. იმედია, საზოგადოება თავის დასწრებით დღეს მაინც დაეხმარება კაპელდინერებს. სდგამენ მხიარულ კომედიას „ალლუმს“. მონაწილეობას იღებენ გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გედევანოვი, გამყრელიძე და სხვანი.

სპარსეთი

დღესასწაული სათარ-ხანის პატივსაცემლად.

2 აპრილს, როდესაც სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი შევიდნენ თეირანში, ხალხმა მათ პატივსაცემლად ნამდვილი დღესასწაული გადაიხადა: გაიმართა ჯირითი, ცხენების [illegible] თოფის სროლა, აუშვეს მშვენიერი შუშხუნები, უკრავდა ყველა, რაცკი თეირანში მუსიკის ორკესტრია.

მეჯლისმა მათ პატივსაცემლად საგანგებო სხდომა მოახდინა.

სეპეხდარი პირველ მინისტრად რჩება.

„ბაქუს“ ატყობინებენ თეირანიდან: „უცხო სახელმწიფოთა ელჩების მეცადინეობით სეპეხდარი ისევ დარჩება პირველ მინისტრად.

ხალხის უკმაყოფილება ყველგან ძლიერდება, ხალხი ძლიერ აღელვებულია“.

ოსმალეთი

ოსმალეთის პარლამენტში.

ალბანელი დეპუტატები შეეკითხნენ მთავრობას, ასე ბევრი ჯარი რად გაგზავნეთ ალბანიაშიო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ უწესოება ალბანიაში გამოწვეულია უხეირო მმართველობით და მისი ბრალი მარტო ოსმალელ მოხელეებს უნდა დაედვასო. ალბანელმა დეპუტატმა იზმაილ-ქემალმა, „ახრარების“ ცნობილმა მეთაურმა, რომელმაც წარსულ წლის გაზაფხულზე ისეთი სამარცხვინო როლი შეასრულა კონტრ-რევოლიუციის დროს, გაკიცხა მთავრობა იმის გულისთვის, რომ იგი ჰგზავნის ჯარს იმათ წინააღმდეგ, ვინც თავისუფლების მოპოვებაში დახმარება გაგვიწიეს და არა იმათ წინააღმდეგ, ვინც ოსმალეთს მთელი ოლქები წაართვესო. (ესე იგი ბოლგარებისა და სერბების წინააღმდეგ).

შინაგან საქმეთა მინისტრმა ტალაატ-ბეიმ გადაჭრით განაცხადა, რომ ის ხმა, ვითომ მთავრობა მაკედონიას ავტონომიის აძლევსო, ყოველ საფუძველსაა მოკლებულიო.

დიდი ვეზირი ხაკი-ფაშა ამტკიცებდა, აუცილებლად საჭიროა იარაღი ავყაროთ ალბანელებსაო. მთავრობა არა თუ მარტო ალბანელებს, არაბეთისა და ქურთისტანის მცხოვრებლებსაც აჰყრის იარაღსაო. ალბანიაში იმიტომ გავგზავნეთ ასე ბევრი ჯარი, რომ როგორც გამო-

ცდილებამ გვიჩვენა, როცა აჯანყებულთ მრავალი ჯარი ამშვიდებს, გაცილებით ნაკლები სისხლი იღვრის, ვიდრე მაშინ, როდესაც აჯანყებას პატარ-პატარა რაზმები ამშვიდებენ, რადგან მეამბოხენი პატარ-პატარა რაზმებს უფრო ხანგრძლივ წინააღმდეგობას გაუწევენ ხოლმეო.

კამათის დროს პალატაში ასტყდა დიდი შფოთი იმის გამო, რომ დეპუტატმა მუეფიდმა შარშან ალბანიაში გაგზავნილი ჯარის უფროსს ჯავიდ-ფაშას მხეცი დაარქვა. მინისტრებმა და ახალგაზდა ოსმალთა პარტიის მეთაურებმა მკაცრი პროტესტი გამოაცხადეს ასეთ დახასიათების წინააღმდეგ. მუეფიდმა უპასუხა, მზადა ვარ ჯავიდ-ფაშას დუელში გავყვე, თუ ის ჩემ სიტყვებს საწყენად მიიღებსო. დეპუტატთა უმეტესობამ აღარ განაგრძობინა ლაპარაკი მუეფიდს და იგი იძულებული იყო სხდომის დარბაზი მიეტოვებინა.

უცხოეთი

საპარლამენტო არჩევნები ავსტრალიაში.

ავსტრალიის პარლამენტში აურჩევიათ 44 წარმომადგენელი მუშათა პარტიისა და 31 წარმომადგენელი სხვა პარტიებისა. სენატშიაც მომეტებულ ნაწილად მუშათა პარტიის წარმომადგენლები აურჩევიათ.

სად რამდენს ფულსა ჰგზავნიან ამერიკიდან.

კომისიამ, რომელიც ამ ორი წლის წინად აირჩია ამერიკის კონგრესმა ემიგრანტების (ამერიკაში სხვა ქვეყნებიდან გადასახლებულთა) საკითხის შესასწავლად, ეხლა თავისი პირველი მოხსენება უკვე წარუდგინა კონგრესს. ამ მოხსენებიდან ჩანს, რომ ემიგრანტებს ამერიკიდან თავიანთ სამშობლოში ყოველ წელს უგზავნიათ 270 მილიონ დოლარამდე (1 დოლარი 2 მანეთია). ამ ფულიდან იტალიაში იგზავნება თურმე—75 მილიონი დოლარი, ავსტრიაში—75 მილიონი დოლ., ინგლისში—25 მ. დ., ნორვეგიასა, დანიასა და შვეციაში—25 მ. დ., რუსეთში—25 მ. დ., გერმანიაში—15 მ. დ., საბერძნეთსა, იაპონიასა და ჩინეთში—5 მილიონი თითოში, ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებში—5 მილიონი დოლარი.

რეზოლიუციები ლორდების წინააღმდეგ.

დეპეშამ უკვე შეგვატყობინა, რომ დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა სამივე რეზოლიუცია. ამ დღეებში პირველი მინისტრი ამ რეზოლიუციებს წარუდგენს ლორდთა პალატას. ლიბერალებმა, ირლანდიელებმა და მუშებმა ძლიერი ტაშისცემა ასტეხეს, როცა პალატამ დაამტკიცა ეს რეზოლიუციები.

ლიბერალური პრესაც იწონებს სამინისტროს მოქმედებას: ეხლა კი ნამდვილად გაბედულად და უყოყმანოდ იქცევა მთავრობაო.

იმავე დღეს პირველმა მინისტრმა ასკვიტმა განაცხადა პალატაში: თუ ლორდთა პალატა ან არ დაამტკიცებს, ან სულ არ განიხილავს ქვედა პალატის მიერ დამტკიცებულ რეზოლიუციებს, მაშინვე მეფესა ვსთხოვ გარანტიებს (ესე იგი ვსთხოვთ, რომ ლორდთა პალატაში იმდენი ახალი ლიბერალი პირი დანიშნოს, რამდენიც საჭირო იქნებაო). თუ მეფე გარანტიებს არ მომცემს, მაშინ სამინისტრო ან პარლამენტს დაითხოვს და ახალ არჩევნებს დაჰნიშნავს, ან სამსახურიდან გადადგება და კონსერვატორებს დაუთმობს თავის ადგილსაო.

ირლანდიელები პირობად უდებდნენ ასკვიტს: თუ გინდათ, რომ შარშანდელ ბიუჯეტის დამტკიცებაში დაგეხმაროთო, უთუოდ მეფეს გარანტია უნდა სთხოვოთო. ასკვიტმა შეასრულა ეს პირობა. ამიტომ ეხლა ბიუჯეტის დამტკიცება უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს: ირლანდიელები პირნათლად შეასრულებენ პირობას და ბიუჯეტს მხარს დაუჭერენ. ჰფიქრობენ, რომ ლორდთა პალატა უთუოდ უარჰყოფს ამ რეზოლიუციებსაო. ამიტომ ასკვიტი უთუოდ მიჰმართავს მეფეს და გარანტიასა სთხოვსო, მეფე არ შეასრულებს ამ თხოვნას და მთავრობა ახალ არჩევნებს დაჰნიშნავსო.

ღია წერილი

ხმოსანს და ექიმს მ. ზ. ქანანოვს.

ჩვენ გაზეთიდან წავიკითხეთ, რომ თქვენ ტფ. ქალაქის გამგეობისათვის თხოვნა მიგირთმევიათ, ყურადღება მიაქციონ, ვისაც ჯერ არს, რომ ვერის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოს გალავნი შემოარტყან, რადგან იქ ნაგავს ჰყრიან და სისუფთავე ვერ არის დაცული. მკითხველი მაგ თქვენ განცხადებას რომ წაიკითხავდა, უსათუოდ წარმოიდგენდა, რომ თქვენ დიდი თაყვანის და პატივის მცემელი ბრძანდებით ადამიანების სასაფლაოსი და ნაშთებისა, მაგრამ მაგ აზრს ფიცხლავ გამოიცვლის, როცა გაიგებს, რომ თქვენ მიერ ყოვლად უყურადღებოდ არის დატოვებული ის სასაფლაო, სადაც დაკრძალულნი არიან თქვენი მშობლები, რომელთაც თქვენ აღზრდა-განათლებაც მოგცესთ და უვალოდ მამულიც დაგიტოვეთ, რაც ამ ჩვენ დროში ძალიან იშვიათად ხდება. ამ სასაფლაოს, როგორც მოგეხსენებათ, გალავანი არ არტყია და იქ სოფლის საქონელი დაიარება და, რა თქმა უნდა, აქ უფრო მეტი უსუფთაობაა, ვიდრე ვერის სასაფლაოზე. კაცი ჯერ თავათ უნდა სჩადიოდეს სამაგალითო საქმეს და მერე სხვას უთითებდეს; ჯერ თავის სასაფლაოზე უნდა ზრუნავდეს და მერე სხვისაზე. კაცი თავის მოქმედებით და ცხოვრებით უნდა სხვას უჩვენებდეს მაგალითს და არა ლიტონი სიტყვით და სხვის ჯიბით.

მამა-თქვენისაგან დატოვებული მამული ხომ კიდეც მიჰყიდეთ უცხო მევახშეებს, გლეხ-კაცებს 4000 მანეთად, დაგვტოვეთ ჩვენ და ჩვენი ცოლ-შვილი უმიწა-წყლოდ და იძულებული გაგვხადეთ გვეხეტიალნა უცხო ადგილებში მამულის საშოვრად და ყველა ეს ჩაიდინეთ იმიტომ, რომ ჩვენ, ხუთმა კომლმა, ვერ შევძელით ერთბაშად მაგდენი ფულის მოცემა. მაგ ფულის სარგებლიდან 200 მანეთი რომ დახარჯოთ, ხომ კიდეც შემოარტყავთ სასაფლაოს გალავანს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ სასაფლაოზე ეხლა, გარდა ჩვენი საქონლისა, დაიარება აგრეთვე თქვენი მამულის მყიდველებისაც და არც მათი საქონელი აყრის თქვენი მშობლების სასაფლაოს კეთილს.

ამ ყველა ზემოთ ნათქვამის შემდეგ ყველა დაგვეთანხმება, რომ თქვენ ეგ მოგდით ჯერ ერთი ჯიბრით და მერე ზრუნავთ ვერელების სახლის პატრონებისთვის და არა იქაურ მკვიდრთათვის.

სოფელ პატარა დაღეთის*) გლეხნი: **თოროზ ეფრიკიან, პოღოს ბაბანიან, ავეტიკ ბაბანიან, გიგოლ ბაბანიან. ალექსი ბაბანიან.**

რადგან ამათ წერა არ იციოდნენ, მათი თხოვნით ხელს ვაწერ **იერვანდ ეფრიკიანი.**

რუსეთი

◆ **მუქარის წერილი.** „რუსკ. ზნამ." მოთავსებულია სამხედრო—საექიმო სტუდენტის, სოპოცკოს შემდეგი წერილი: მილიუკოვს! რადგანაც სახელმწიფო სათათბიროში შეურაცყოფა მიაყენეთ ხელმწიფე-იმპერატორს, ამიტომ სადაც კი შეგვხვდებით სილას გაგარტყამთო"!!

◆ **გაჩხრეკა.** ვარშავაში პოლიციას გაუჩხრეკია ბევრი პოლონელი ახალგაზრდა. ბრალდებათ იმ საზოგადოების წევრობა, რომელიც ბოიკოტს უცხადებს რუსის სკოლას და ამნაირსავე პროპაგანდას ეწევა.

◆ **ახალი კანონ-პროექტი.** საერო განათლების მინისტრს უკვე შეუმუშავებია და მალე სახელმწიფო სათათბიროში შეიტანს კანონ-პროექტს, რომლითაც ყველა საშუალო სასწავლებლებში სავალდებულო იქნება „ესპერანტოს" სწავლება.

◆ **პარტიიდან გასვლა.** „კასპ"-ს პარიზიდან. დეპეშით ატყობინებენ: ცნობილმა ხრუსტალევნოსარმა, 1905 წელს მუშათა დეპუტატების თავჯდომარედ ნამყოფმა, განაცხადა, სოციალ-დემოკრატების პარტიიდან გავდივარო.

◆ **ყალბი ფულის ქარხანა სატუსაღოში.** „რუსკ. ვედომ." ტულიდან დეპეშით ატყობინებენ: დააპატიმრეს საგუბერნიო სატუსაღოს ოთხი ზედამხედველი. ამას წინად სატუსაღოში ყალბი ფულის ქარხანა აღმოაჩინეს. როგორც ეხლა გამოირკვა, სატუსაღოში ყალბი ფულის ქარხანა ზედამხედველებს მოუწყვიათ.

◆ **მილიონების მემკვიდრე.** მოსკოვის გაზეთებს იალტიდან შემდეგს ატყობინებენ: აქაური მცხოვრები გოლდშტეინი, რომელსაც დიდი ცოლ-შვილი ჰყავს და თითქმის მათხოვრობით სცხოვრობდა, უცბად გაბედნიერდა. იგი აღმოჩნდა იმ გოლდშტეინის ძმის წული, რომელმაც მას 38 მილიონი მანეთი დაუტოვა. გოლდშტეინს დიდი ხანია ეძებენ.

◆ **გორკი და სოციალ-დემოკრატები.** ამას წინად გაზეთები სწერდნენ, რომ სოციალ-დემოკრატების ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიიდან დაითხოვა ცნობილი მწერალი მ. გორკიო. „ბაკუ"-ს სიტყვით კაპრიში არსებული სოციალ-დემოკრატიული სკოლა პარიზში გადაუტანიათ. ეს სკოლა გორკიმ დაარსა და სკოლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ითვლებოდა გორკი. გორკი კაპრიზედ სცხოვრობს. გაზეთის სიტყვით, სკოლის გადატანა გამოიწვია პარტიიდან გორკის გაძევებამ.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ეს მცირე წერილი დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში და მით საშუალება მომცეთ სიმართლე აღვადგინო.

გაზეთ „დროების" მე-71 ნომერში მოთავსებული იყო ბ-ნ ახვლის წერილი სოფ. აღბულაღში ძველ ეკკლესიის განადგურების შესახებ. ფაქტი აღნიშნულია სრულის სინამდვილით. რაც შეეხება ავტორის შენიშვნას: „ადგილობრივ ბლაღოჩინი რას აკეთებდა აღბულაღში დინამიტების გრიალის დროსაო", უსაფუძვლო შენიშვნად მიმაჩნია. ს. პრიუტიდან, სადაც მე ვარ, აღბულაღამდე ჩვიდმეტ ვერსამდეა, ეს მანძილი გაბმული ატეხილი სახელმწიფო ტყით არის დაფარული, მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელი იყო დინამიტის ხმას აქამდის მოეღწია. მე ხომ გულთმისანი არ ვიყავი. მღვდლის ივანკოვიჩის განზრახვა გამეგო, რათა უცბად საქმე შემეყენებინა. მე გავიგე თუ არა საქმე, მაშინვე ვაცნობე ბაქოს ეპისკოპოსს გრიგორს. მივწერე ადგილობრივ პოლიციას, მღვდლისთვის ეკკლესიის დაქცევა აეკრძალა. მივწერე აგრეთვე თვით მღვდელსაც, რამაც დიდი უსიამოვნება გამოიწვია ჩვენ შორის. პასუხად საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან ნებართვისა ძველი ეკკლესიის შეკეთების შესახებ, მე მივწერე სინოდის კანტორას, რომ მისი განკარგულება იყო დაგვიანებული, რადგან მღვდელმა—ივანკოვიჩმა უკვე დაანგრია ძველი ეკკლესია-მეთქი.

თუ ხსენებულ მღვდლის საქციელმა უშედეგოდ ჩაიარა, ადვილი შესაძლებელია, ამგვარი მოსპობა ძველის ნაშთებისა კიდევ განმეორდეს. დარწმუნებული ვარ, უეჭველივე ეს რომ სცოდნოდა ბ-ნ ახვლს, გაეგო, რომ ყოველი ზომა მივიღე, რაც კი ჩემზე იყო დამოკიდებული, აღარ შემწამებდა უმოქმედობას და გულ-ცივობას ისტორიულ ნაშთებისადმი, ან კიდევ რაიმე შიშმორიდებას რუსის მღვდლისას.

ბლაღ.-მღვდელი **მ. ყანჩაველი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელნიც ახალციხეში არა სცხოვრობენ და რომელთაც კეთილი ინებეს და ჩვენის თხოვნისამებრ შემწეობა აღმოგვიჩინეს ახალციხის წმ. მარინეს ეკკლესიის სახლის აშენებაში.

სია: გენერალ-მაიორი გიორგი ი. მუსხელიშვილი 50 მან., ემელიანე დავითის ასული ხმალაძისა, რომელმაც შეაგროვა თავის ნაცნობთა შორის ახალქალაქში—106 მ. 85 კ., პლატონ ზედგინიძე—ერევნიდან 10 მ., სტეფანე თაქთაქიძე—ბათუმიდან 20 მ., ნიკოლოზ ა. ხმალაძე—ტფილისიდან 10 მ., ნ. ხმალაძე—ბორჯომიდან 3 მ., სტ. სალარიძე—ბათუმიდან 3 მ., ი. ზედგინიძე—ტფილისიდან 5 მ. ნ. ნიკიტინი—ბათუმიდან 2.

რადგან სახლი ჯერ სულ არ დამთავრებულა, ვიმედოვნებთ, რომ სხვანიც, ვისაც მოწოდებით მივმართეთ, ძმურად დახმარების ხელს გამოგვიწვდიან და მით მოგვცემენ შეძლებას დავაბოლაოთ ჩვენ მიერ დაწყებული საქმე.

სააშენებლო კომისიის თავმჯდომარე მღ. ბ. კანდელაკი წევრნი: **ევ. ათაბეგოვი, დავით ხვთისიევი, ნიკოლოზ მესხიძე, ხიმონ გელაძე, პავლე კოპაძე.**

P. S. ფულის გამოგზავნა შეიძლება ქალაქ ახალციხეში, სააშენებლო კომისიის სახელზე.

---

*) ტფილისის მაზრა.

განცხადებანი

პასუხად

ბ. მირონ ჩხარტიშვილს.

„დროების" მე-72 ნომერში თქვენ სხვებთან ერთად მეც მიწვევთ სამედიატორო სამართალში. მე სიამოვნებით ვეგებები თქვენს გამოწვევას, რათა ერთხელვე მოეღოს ბოლო ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს, ჯერჯერობით ამ ერთს მაინც, თუ ვისთან უნდა ჰქონდეთ მყიდველთ საქმე. ლისიციანის სამოსახლოებიდან ჩვენს დროს შემოსულა დაახლოვებით 19,000 მ. ახალშენიდან გადმოტანილია 2,955 მანეთი. სულ შემოსულა 21,955 მანეთი. აქედან დაახლოვებით მიღებული აქვს ბ-ნ ლისიციანს 17,000 მ. დარჩენილა 4.955 მ. აქედან ვის რა გვაქვს დახარჯული დარწმუნებით გამოურკვეველია, თუმცა ბ-ნ ტოროზოვს აქვს დანახარჯების თუ აღებულ ფულის ანგარიში წარდგენილი ბ-ნ ლისიციანისთვის. კარგი იქნება, არჩეულმა მედიატორებმა ჩვენი ანგარიშები გაასწორონ, ჩემის მხრით, მედიატორების წარმოდგენას დანიშნულ ადგილას არ დავაბრკოლებ (ვენდობი კიდეც თქვენს ამორჩეულებს). რაც შეეხება დანარჩენ წევრებს კომისიისა, ვგონებ არც იგინი დასდგებიან უკან წინააღმდეგი არავარ ანგარიშს დროს, ვისაც ეინტერესებოდეს, დაესწრონ.

(1—6.—1) **ი. ბახტაძე.**

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—80)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

- დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ეძებენ მებუფეტეს,

ვისაც სურს აიღოს პირველი კლასის კაფე-ბუფეტი, მომზადებულ 5 თვალ-შენობაში ყოველ მოწყობილობით და ელექტრონის განათებით, ახლად გახსნილ [illegible] „სკეტინგ-რინკი". პასტერის ქუჩა № 4 (მიხაილოვის პროსპექტიდან ან ველიკოკნიაზის ქუჩიდან). (3—229—1)

ბორჯომის ცენტრის მახლობლად, სახლის პარკის გვერდზე,

იაფად იყიდება მიწის ნაჭერი,

ყოფილი უგანათლებულესი თავადის **ვორონცოვისა**, ზომით 15,000 ოთხკ. საჟენი. შესამჩნევი ნაწილი ადგილისა უჭირავს პარკსა და ხე-ხილის ბაღს.

ცნობების გაგება 12 აპრილამდე ტფილისში სასახლის ქ., „ვიქტორიას" სასტუმროში კ. ე. გრიგორიევთან, ხოლო შემდეგ იალტაში, თავ. ტრუბეცკოების კანტორაში, ვინოგრადნის ქ., ს. ბუხშტაბისა. მიწის ნაჭრის დასათვალიერებლად ადგილობრივ დარაჯია. (5—1049—1)

ქუთაისში

◀ **კიწმარაშვილის და ამხ.** ▶

თესლეულობის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—22)

თევზის სავაჭრო

ზ. ზ. დავიდოვისა

(ყოფილი ქამოევისა)

რომელიც მოთავსებულია თამამშევის ქარვასლაშ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ამით აცხადებს პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ 7-დან ვიდრე 12 აპრილამდე გაიყიდება

● **წვრილი ქართული ზურგიელი** ●

გირვანქა ერთ აბაზად

მაღაზიაში არის გასასყიდად ზურგიელები თითო ცალი ოთხი გირვანქა და მეტი. (4—227—2)

სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-უგურული" ქუთაისში.

● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—38)

სააქციონერო საზოგადოება

„გრამოფონი"

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., ტელეფონი № 69.

არის მრავალი მოლაპარაკე მაშინა, მაგრამ ნამდვილი ამათგანი მხოლოდ **გრამოფონებია** ჩვენი საქარხნო ნიშნებით: „**მწერალი ანგელოზი**" და „**ხმა პატრონისა**". ამ გრამოფონებს ურჩევთ ყველას, როგორც საუკეთესო საჩუქარს **სააღდგომო დღესასწაულებისთვის.**

ახალი ამბავი: საუკეთესო აპარატები **65 მან.** და უფრო ძვირი.

მრავალი ფირფიტა შალიაპინის, სობინოვის, კარუზოს, ტეტრაცინის, შუვალოვას, ვავიჩის, მანახოვის, სევერსკის ხმებით, აგრეთვე მრავლად არის ფირფიტები **კავკასიელ მომღერალთა ხმებით:** ბაგრატასი, მ. ბეგბუტოვისა, და კარია-მდიევისა, ტომაშევიჩი და კავსაძე, ფორხალიევისა და სხვათა. ყველა ჩვენ აპარატს და ფირფიტას აქვს ფაბრიკის მარკა „მწერალი ანგელოზი", რასაც ვთხოვთ ყველას, ყურადღება მიაქციოს.

● **ერიდეთ სიყალბეს** ●

სააქციონერო საზოგადოების „გრამოფონის" ნაწარმოებნი მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ აგრეთვე **ბ. ს. დავიდოვთან,** სერგიევის ქ., აზოვ-დონის საკომერციო ბანკის პირდაპირ. (4—6.—3)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.